სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

29016698660417

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170620455

რეგისტრაციის თარიღი

06.06.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მე ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს საქართველოს ბანკის სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, შომმართა მიხეილ გომართელმა, რომელმაც გაწაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის ჯაბაბერ კიკნაველიძის მიერ 21.10.2016 წელს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 161218152 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). მიხეილ გომართელმა მოითხოვა რწმუნებულების შედგენა ირაკლი შარიქაძის სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მიხეილ გომართელის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მიხეილ გომართელმა (დაბ. 31.07.1975 ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, მცხ. ქ. თბილისი, აგლაძის ქუჩა 38, ბინა 75) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ ძვადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს, მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მიხეილ გომართელმა ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე მიხეილ გომართელი (შემდგომში - მარწმუნებელი), ირაკლი შარიქაძეს (დაბადებული: 25.04.1989, ქუთაისში პირადი ნომერი: 60001104224 (შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) სახელით:

1. ხელი მოაწეროს:
1.1. გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს) ულიმიტო.
1.2. ბანკის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასაცემ საბანკო კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს) 2.000.000 (ორი მილიონი) ა.შ.შ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში.
1.3. ბანკის მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს 2.000.000 (ორი მილიონი) ა.შ.შ. დოლარის ფარგლებში (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში)
1.4. გირავნობის, იპოთეკისა და თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ.
1.5. კლიენტი კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილობით დოკუმენტაციაზე.
1.6. ზემოხსენებული უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას.
2. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე